სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპიური წესდების დაუყოვნებლივ მიღება აუცილებელია

***პაატა კოლუაშვილი**, ეკონ. მეცნ. დოქტორი, სტუ-ს სრული პროფესორი*
***დავით მამუკელაშვილი**, ეკონომიკის დოქტორი*
***გიორგი ზიბზიბაძე**, ეკონომიკის დოქტორი, სტუ-ს მოწვეული პროფესორი*

გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქმნელია!

* * * * * * * *

რეზიუმე

შრომაში მოცემული ძირითადი იდეა სოფლად მოსახლეობის ნებაყოფლობით კოოპერირებას, მათ ინტეგრაციას გადამმუშავებელ საწარმოებთან (სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი სისტემის შექმნა) და ადგილებზე არსებული ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური თუ ტექნიკურ-ტექნოლოგიური პრობლემების დარეგულირებას ეხება. მასში დასაბუთებულია მისი რეალიზაციის როგორც ობიექტური აუცილებლობა, ასევე განხორციელების ეკონომიკური მექანიზმი და მოსალოდნელი სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრება, რასაც ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ავტორები მიიჩნევენ, რომ სოფლად კოოპერაციის პროცესის წარმმართველის ძირითადი ფუნქცია, სახელმწიფომ უნდა იკისროს.

ავტორთა აზრით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა კანონით დადგენილი მხოლოდ საპაიო ფონდში შესატანი ფულადი და სხვა სახის ქონება, არამედ მისი წევრების, შრომითი რესურსების კაპიტალიზაცია.

Summary

The work concerns the development of voluntary cooperative relations and inter-branch integration and also the technological settlement in rural areas. Under the aegis of the community unions, the most important locally available resources of the intellectual, economic and organizational arrangement will be fully highlighted as well as a single cycle of production, processing and marketing of agricultural products will be created. Based on social solidarity the cooperative community population will be in full ownership of the income from sales of the final product and it will itself decide on earmarking the respective funds for reproduction and/or handling of common social problems. Implementation of the Community Entrepreneurial Mobilization Program will bring forth a substantial growth of incomes of the major portion of the country's population and dynamic improvement of its socio-economic situation.

სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა, მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების სამეწარმეო აქტივობის ამაღლებაა.

ამ მიმართულებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი. ეს პროცესი ყველგან სახელმწიფოს აქტიური მაორგანიზებელი როლითა და ხელშეწყობით წარიმართა. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას, ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვთვლით, რომ სახელმწიფო დახმარების ბენეფიციარად სასოფლო-სამეურნეო სუბიექტის განსაზღვრისას, სასოფლო—სამეურნეო კოოპერატივებს პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან სწორედ მათ შეუძლიათ განახორციელონ აგრარული სექტორის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ – აღძრან სამეწარმეო აქტივობა მოსახლეობაში და სოფლის მეურნეობის იმ სფეროებში, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის და სადაც ამგვარი აქტივობის ინტენსიური განვითარება ბუნებრივად არ არის მოსალოდნელი.

კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების ადექვატური. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც ძლიერი და სანდო პარტნიორი სოფლად რთული ეკონომიკურ-ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას. მთავრობამ უნდა გააცნობიეროს, რომ არსებულ სიტუაციაში მხოლოდ კოოპერაციული, ანუ სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის სისტემის ხელშეწყობით, არის შესაძლებელი ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების უაღრესად რთული პროცესის განხორციელება.

აგრარული სექტორის ფუნქციონირების, ბოლო

ორი ათეული წლის, ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს სოფლის მოსახლეობასა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოებს შორის არსებულ კონფლიქტს. გადამმუშავებელი საწარმოები მოგების გაზრდის მიზნით ახდენენ გლეხობისგან პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასით (რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებს პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებსაც კი). ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაულახავ ბარიერად გლეხობასა და თავისუფალ ბაზარს შორის. გლეხები (განსაკუთრებით მიწის წვრილი მესაკუთრეები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ), იმის გამო, რომ მათი პროდუქციის ჩაბარება მხოლოდ შესაბამის გადამმუშავებელ საწარმოში არის შესაძლებელი, იძულებულნი არიან დათანხმდნენ პროდუქციის შესყიდვის დისკრიმინაციულ ფასებს, რაც ავტომატურად იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციის და რაც მთავარია, სოფლად ცხოვრების სურვილისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის დაკარგვას. ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი, გაუაზრებელი ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი ერთის მხრივ – სოფლებიდან მოსახლეობის გაძლირებული მიგრაციისა და მეორეს მხრივ – აგრარული წარმოების პარალიზებისა.

აღნიშნულის ძირითადი მიზეზი შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციული ფორმების სავსებით გასაგები იმანენტური ინტერესებია. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის დაბალანსირებული განვითარების ყველაზე ეფექტურ მექანიზმს მათი ინტეგრაცია წარმოადგენს, რომლის ოპტიმალური ფორმებისა და მათზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური მოდელების ძიება მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის აუცილებლობამდე მიგვიყვანს. ასეთი სტრუქტურის ფორმირებით და სახელმწიფოს ხელშეწყობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს მიეცემათ პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნის შესაძლებლობა, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და სადაც გლეხები დაინტერესებული იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი შემოსავლებით.

დროში შეზღუდულობამ არ უნდა დაგვაშვებინოს სერიოზული შეცდომა, რომლის კონტურები უკვე ჩანს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული 100 გადამმუშავებელი საწარმოს გადაცემაში შპს-ებსა თუ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე (კოოპერატივებზე ამ ეტაპზე ვერ ხერხდება მათი გადაცემა, კოოპერატივებისა და მათი მაორგანიზებელი სტრუქტურების არარსებობის გამო). გლეხობიდან პროდუქციის შემსყიდველი, მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ხელშეწყობა იქნება მხოლოდ უკუშედეგის მომტანი. ჩვენი აზრით, აგროპროდუქციის მწარმოებელთა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ეკონომიკური დამოკიდებულების ძველებური ფორმის შენარჩუნება ახლო მომავალში აგროწარმოების განვითარების სერიოზული მუხრუჭი გახდება.

ზოგადად უდავოა, რომ შპს-ების განვითარებას თავისი ადგილი და მნიშვნელობა გააჩნია საბაზრო პირობებში, მაგრამ თუ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივები და შესაბამისი პროგრამები, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების, როგორც სამეწარმეო სუბიექტების განვითარებაზე და მით უმეტეს, თუ ეს ხდება ჩვენი ქვეყნის ტრადიციული აგრარული დარგების რეაბილიტაციის საფუძველზე, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებათა იგნორირება, ან მათი განხილვა ტიპიური კერძო ბიზნეს-პროექტების პარიტეტულად, უნდა ჩაითვალოს როგორც სერიოზული მეთოდოლოგიური შეცდომა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, შესაძლებლად მიგვაჩნია შპს-ების ჩამოყალიბება 100%-იანი სახელმწიფო წილით, რომლებიც საკუთარ ბალანსზე აიყვანენ ზემოაღნიშნული სახელმწიფო საწარმოებს, და რომელთა გამოსყიდვის უფლება მიეცემათ ამ საწარმოებთან ფუნქციონალურად დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, გამოსყიდვის წინასწარ ჩამოყალიბებული კუმულაციური ფორმით. ამ ფორმით პრაქტიკულად განხორციელდება ამ საწარმოთა გამოსყიდვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ საწესდებო კაპიტალში კოოპერატივის წევრთა ხვედრითი წილის პერმანენტული ზრდის საფუძველზე. მათი ხვედრითი წილების ფორმირება კი მოხდება გადამმუშავებული, ანუ საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული კოოპერაციული გადახდების ნაწილით და დამატებითი პაის ოდენობით, წინასწარ შეთანხმებული სქემით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმოდგენილი მოდელი დიდად ამარტივებს სამეურნეო რგოლებს შორის რთულ საწარმოო ურთიერთობებს. აქ საწარმოო ურთიერთობათა ყველა სირთულე ტრანსფორმირდება ორგანიზაციული ხასიათის პრობლემაში, რაც უკავშირდება სახელმწიფოს მარეგულირებელ და ხელშემწყობ ფუნქციას. სპეციალიზებული სტრუქტურის შექმნა ორგანიზაციას გაუკეთებს და დააჩქარებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებას პარტნიორობის საფუძველზე (წინასწარ შემუშავებული სტრატეგიის საფუძველზე) და შესაბამისი დროის განმავლობაში კოორდინაციას გაუწევს მათი ფუნქციონერობის პროცესს.

შემთხვევითი არაა, რომ ლიბერალური ეკონომიკის მქონე დასავლეთის ქვეყნებმა სახელმწიფო

ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს, რადგან მხოლოდ კოოპერირების საშუალებით არის შესაძლებელი ორი საწყისის გაერთიანება: საკუთრების, რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას და წარმოების მასშტაბის გაზრდისთვის, რომელიც განაპირობებს ერთს მხრივ — ტექნიკურ და ეკომომიკურ უპირატესობას და მეორეს მხრივ — ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე.

აქვე მოგვყავს ევროპის ერთ-ერთი მაღალ განვითარებული ქვეყნის – დანიის სახამებლის მწარმოებელი კოოპერატივის (დანიაში კარტოფილის სახამებლის წარმოების 85% გადის ექსპორტზე და იყიდება 40-ზე მეტ ქვეყანაში. 170 000 ტ/წელიწადში კარტოფილის სახამებელს აწარმოებს 5 საწარმო, რომელიც ეკუთვნის კოოპერატივს და აერთიანებს 3000-ზე მეტ ფერმერს) ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები:

- ფერმერი არის აქციების მფლობელი.
- თითოეული აქცია აძლევს უფლებასა და იმავდროულად ვალდებულებას 100კგ კარტოფილის ჩაბარებაზე (10 აქციის მფლობელს აქვს უფლება და ვალდებულება ჩააბაროს 10ხ100=1000კგ კარტოფილი).
- კარტოფილის ჩაბარების რიგს განსაზღვრავს საწარმო და ადგილზევე ანაზღაურებს პროდუქციის მინიმალურ ღირებულებას.
- სახამებლის გაყიდვის შემდეგ მიღებული მოგება ნაწილდება აქციების რაოდენობის მიხედვით.
- აქციების გაყიდვა ან გასხვისება ნებადართულია. აქციის ფასს განსაზღვრავს კარტოფილის ფასი გაყიდვის მომენტისთვის.
- კოოპერატივის მართვას ახორციელებს კრება, რომელიც ირჩევს საწარმოს მმართველ დირექტორატს კოოპერატივის წევრებიდან.

კოოპერატივის წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა და ეს დამოკიდებული არ არის აქციების ფლობის რაოდენობაზე.

მსგავსი მოდელი დანერგილ უნდა იქნეს საქართველოში, რადგან ამით არ იზღუდება ფერმერთა თავისუფლება და ე.წ. „კოლექტივიზაციის“ შიშიც ქრება. პირველ ეტაპზე შეიძლება გავაუქმოთ პროდუქციის ჩაბარებაზე მკაცრი ვალდებულება და დავუშვათ კოოპერატივისარაწევრებისაგან პროდუქციის შეძენა თუ ამის აუცილებლობას დირექტორატი დაინახავს.

მხოლოდ ასეთი სისტემის პირობებში შეიქმნება როგორც ძირითადი სამეურნეო რგოლების, ისე მთლიანი სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ობიექტური საფუძვლები, სადაც პრაქტიკულად გამოირიცხება საწარმოს მესაკუთრეთა (სუბიექტურობის) ფაქტორი, რაზედაც მიმდინარე ეტაპზე არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, მთლიანადაა დამოკიდებული როგორც გადამმუშავებელი შპს-ების, ასევე შესაბამის სასოფლო-სამეურნეო დარგებში დასაქმებული ათასობით კომლის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა.

კოოპერაციულ სამეწარმეო სისტემაში მისი წევრების წილის (პაის) ფორმირებაზე პერმანენტულ გავლენას მოახდენს დამატებითი პაი, რომელიც წარმოადგენს კოოპერაციული და საპაიო გადახდების წესდებით განსაზღვრულ ნაწილს. ამიტომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იგი იქნება ცვალებადი (მით უფრო საწყის ეტაპზე და მით უმეტეს გარედან მოსალოდნელი ხელშეწყობის პირობებში) და მისი ზრდა დამოკიდებული იქნება მხოლოდ კოოპერატივის წევრთა კეთილსინდისიერ და ეფექტურ შრომაზე, რაც თავის მხრივ წარმოადგენს უმნიშვნელოვანესი ფაქტორის – შრომითი რესურსების კაპიტალიზაციის ყველაზე ძლიერ საფუძველს.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პოზიცია არაერთხელ იყო გაჟღერებული საქართველოს პრემიერ-მინისტრის საჯარო გამოსვლებში, როგორც აგრარულ სექტორში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ღონისძიება, რომელიც გატარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კანონმდებლობის შემუშავების კუთხით. მიუხედავად ამისა, უკვე შეიძლება დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, რომ ეს ღონისძიება აშკარად არ არის საკმარისი სასოფლო—სამეურნეო კოოპერაციისა და შესაბამისად, აგრარული სექტორის ინტენსიური განვითარებისთვის.

საქართველოს პარლამენტის მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონის მიღება უდავოდ უნდა ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი (აგრარული) სექტორის ახლებურ, რაციონალურ ორგანიზაციულ მოწყობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ კანონის ის ხარვეზები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება ნეგატიურად აისახოს ამ უმნიშვნელოვანეს პროცესზე.

კერძოდ, კანონით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ არ ხდება კოოპერატივის შიდა საწარმოო ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი წესების განსაზღვრა. ეს არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რაც განასხვავებს მას მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისაგან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვა). მაგრამ კოოპერატივის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა კანონით დადგენილი მხოლოდ საპაიო ფონდში შესატანი ფულადი და სხვა სახის ქონება (რომელიც მეპაიეს აძლევს დივიდენდების მიღების საშუალებას), არამედ მისი წევრების, შრომითი რესურსების კაპიტალიზაცია, რაც უზრუნველყოფს შრომის უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს.

სწორედ ამ ორი კომპონენტის — შრომითი და მატერიალურის ორგანული შერწყმით (სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთი დანიშნულება — არა გაზრდილი დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაა), მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ეფეტიანობა, სოციალურ სოლიდარობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირებით.

თანამედროვე ევროპული ტიპის კოოპერატივების განვითარების 170 წლიანი გამოცდილებიდან ყველაზე ნიშანდობლივია ის, რომ ამ მიმართულებით განვითარებული ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, სადაც ისეთი ელემენტების შემოტანით, როგორიცაა: საპაიო შენატანი, დამატებითი პაი, კოოპერაციული გადახდები, კოოპერატივის ასოცირებული წევრი და სხვა, ახდენენ კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას უშუალოდ საკანონმდებლო დონეზე, იმ მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში შრომითი რესურსის ფაქტორი იყოს განმსაზღვრელი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა საპაიო შენატანების სახით არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც: საკანონმდებლო დონეზე ხდება კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ შედარებით გამარტივებული წესით, რომელიც არ ახდენს კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი რეგულირდება ქვეყნის მთავრობის, ან შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტით, რაც გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპიური წესდების მიღება-დამტკიცებით. ორივე შემთხვევაში ყველა ქვეყნის კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის (კოოპერატივების) შესახებ შეიცავს პუნქტებს, რომლებიც ძირითადი და საერთოა ყველასთვის. მაგალითად ასეთია:

კოოპერატივის წევრთა პაი ყალიბდება აუცილებელი და დამატებითი საპაიო შენატანებით. აუცილებელი საპაიო შენატანების ოდენობა განისაზღვრება თანაბრად, ან კოოპერატივის საქმიანობაში წევრთა მონაწილეობის პროპორციულად და ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად შეიძლება შეიცვალოს, ხოლო დამატებითი საპაიო შენატანების შეტანის წესი და ოდენობა განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით.

სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ ეს საკითხები არ მიიჩნია მნიშვნელოვნად, რომ მოწინავე ქვეყნების მსგავსად მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირება საკანონმდებლო დონეზე. ამიტომ რჩება ერთადერთი სწორი გამოსავალი: საქართველოს მთავრობამ ან სოფლის მეურნეობის მინისტრმა უნდა გამოსცეს ნორმატიული აქტი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპიური წესდების დამტკიცების თაობაზე, რომელიც სავალდებულო იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მიღების მსურველი ყველა იურიდიული სუბიექტისთვის.

დასკვნის მაგიერ. სახელმწიფომ ცალსახად უნდა განსაზღვროს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელება წარმოადგენს მასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც გამიზნულია უშუალოდ სოფლად მცხოვრები ადამიანების და საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების სასიკეთოდ. არსებული რეალობის გათვალისწინებით სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს ამ მნიშვნელოვანი პროცესის წარმმართველის ძირითადი (მაკოორდინირებელი და ხელშემწყობი) ფუნქცია.

Мультимедийные технологии в образовании

Кетеван Квеселава *ассистент профессор*
(ГрузинскиеТехнический университет)
Теймураз Стуруа *профессор*
(ГрузинскиеТехнический университет)
Лиана Тедешвили *профессор*
(ГрузинскиеТехнический университет)

Аннотация

Так при использование мультимедиа на лекцией через интерактивность, структуризацию и визуализацию информации происходит усиление мотивации обучающегося, активизация его познавательной деятельности, как на уровне сознания, так и подсознания. Из всех информационных каналов визуальный - самый мощный, поэтому его использование в области образования средствами мультимедиа более разработано. Однако это не отменяет важности и значения других медий. Продуманное взаимодействие клавиатуры и мыши в мультимедийных учебниках в сочетании с другими медиями добавляет ещё одно преимущество данной образовательной технологии. Оно основано на том, что мануальные упражнения существенно развивают память. Здесь необходимо опираться на исследования в области инженерной психологии и эргономики. Мультимедийные технологии превратили учебную наглядность из статической в динамическую, то есть появилась возможность отслеживать изучаемые процессы во времени. Моделировать процессы, которые развиваются во времени, интерактивно менять параметры этих процессов, очень важное дидактическое преимущество мультимедийных обучающих систем. Тем более довольно много образовательных задач связанных с тем, что демонстрацию изучаемых явлений невозможно провести в учебной аудитории, в этом случае средства мультимедиа являются единственно возможными на сегодняшний день.

Ключевые слова: мультимедиа, kомпьютерные технологии, Видео и аудио технологий, образование, визуальный.

Summary

Using multimedia in the lecture through interactivity, structuring and visualization of information helps us to strengthening students' motivation, their both cognitive activity consciousness and sub-consciousness comes to the action . Of all the visual information channels - the most powerful is visual one, that's why it is more developed in educational multimedia. However, this does not negate the importance and value of other media. Careful interactions of mouse and keyboard in a multimedia textbooks in combination with other media is an advantage of this educational technology. It is based on the fact that manual exercises significantly develop its memory. Here we have to refer on engineering psychology and ergonomics research. Multimedia technologies have transformed learning visibility from static to dynamic, it means that we are able to watch the studding processes in time. Multimedia training systems have very important didactic advantages, they are - simulation of processes which are well developed in time and interactively changes of the parameters of these processes. Especially where there are plenty lot of educational tasks which can not be demonstrated in classrooms. In this case the multimedia mean is the only one for nowadays.

Key words: Multimedia, computer technology, video and audio technologies, education, visual.

* * * * * * * *

Сегодня все чаще в информационной среде используются такие понятия, как мультимедиа, медийное искусство, медиакультура. Они не являются синонимами, но у этих феноменов есть точки взаимопересечения. Что же такое мультимедиа, какова его природа и отличительные особенности? Сам Термин «мультимедиа» является латинизмом, проникшим из англоязычных источников в различные языки практически в первоначальной транскрипции. Иногда его произносят на английский лад – «малтимедиа». Происходит он от соединения английских слов – «multy», «multiple» (множественный, складной, состоящий из многих частей) и «media» (среда, средство) или, точнее, от латинских слов multum (много) и media, medium (средоточие, средство, способ). Таким образом,

дословно «мультимедиа» означает «многие среды».

мультимедиа – это особый вид компьютерной технологии, который объединяет в себе как традиционную статическую визуальную информацию (текст, графику), так и динамическую – речь, музыку, видео-фрагменты, анимацию и т.п

Сегодня мультимедиа-технологии — это одно из перспективных направлений информатизации учебного процесса. В совершенствовании программного и методического обеспечения, материальной базы, а также в обязательном повышении квалификации преподавательского состава, видится перспектива успешного применения современных информационных технологий в образовании.

Как мы уже упоминали сам термин «мультимедиа» многозначен. Эта многозначность привела к тому, что в университетах в качестве предмета изучения в курсе «Мульти-медиа»/«Hypermedia» выступают следующие аспекты: общие вопросы аппаратного и программного обеспечения мультимедийных технологий, особенности создания и использования отдельных CD-ROM-продуктов, выполненных на основе мультимедийной технологии, прикладные задачи по освоению конкретных программных оболочек и разработке на их основе различных электронных ресурсов и т.п.

Мультимедиа как учебный предмет появился сравнительно недавно. Первоначально это был раздел курса прикладной информатики, где наряду с другими технологиями информационного общества рассматривались и мультимедийные в частности. В качестве самостоятельной учебной дисциплины ряде вузов, в том числе и Грузинских, мультимедийные технологии начинают изучаться с начала 1990-х гг., хотя некоторые ответвления его, связанные с экранной культурой, медиаобразованием, имели место в 1960 – 70-е гг. и ранее.

Мультимедийные технологии обогащают процесс обучения, позволяют сделать обучение более эффективным, вовлекая в процесс восприятия учебной информации большинство чувственных компонент обучаемого.

Мультимедиа и гипермедиа-технологии интегрируют в себе мощные распределенные образовательные ресурсы, они могут обеспечить среду формирования и проявления ключевых компетенции, к которым относятся в первую очередь информационная и коммуникативная. Мультимедиа и телекоммуникационные технологии открывают принципиально новые методические подходы в системе общего образования. Интерактивные технологии на основе мультимедиа позволят решить проблему “провинциализма” сельской школы как на базе Интернет-коммуникаций, так и за счет интерактивных CD – курсов и использования спутникового Интернета в школах и университетах, а также Мультимедийные технологии обогащают процесс обучения, позволяют сделать обучение более эффективным, вовлекая в процесс восприятия учебной информации большинство чувственных компонент обучаемого.

Как правило отдельно Мультимедиа - это взаимодействие визуальных и аудио-эффектов под управлением интерактивного программного обеспечения с использованием современных технических и программных средств, они объединяют текст, звук, графику, фото, видео в одном цифровом представлении.

Что касается Гипермедиа – это компьютерные файлы, связанные посредством гипертекстовых ссылок для перемещения между мультимедийными объектами.

При этом основными этапами овладения мультимедийной технологией становятся:

1. освоение процесса записи звука с помощью микрофона и с магнитных носителей и т.п.;
2. импортированные графических изображений из других программ (например, CorelDraw и др.), с оптических компакт-дисков;
3. сканирование фотографий, иллюстраций и других видов графики;
4. включение фрагментов видеофильма в создаваемую программу;
5. создание системы гипермедийных связей в программе;
6. освоение различных способов связи отдельных компонентов материала в единое целое, структурирование материала и его графическое решение;
7. ознакомление с общими вопросами компьютерного дизайна;
8. цветовое решение программы и др.

В Грузии на практике преподавание мультимедийных технологий пока еще сталкивается с определенными сложностями (ограниченное применение специальных устройств, позволяющих проецировать материал с компьютера на большой экран, недостаточное и бессистемное комплектование фонда программного обеспечения, отсутствие в большинстве вузов полноценных мультимедийных классов и т.п.). Однако очевиден факт использования мультимедиа в процессе обучения и преподавания самой технологии как учебной дисциплины. Не вызывает сомнения, что мультимедийная технология даже на начальном этапе своего развития выводит общение между пользователем и компьютером на новый уровень, расширяет спектр форм и средств информационного обмена. Она усиливает элемент творчества как в процессе подготовки обучающих программ, так и в процессе самого обучения, сокращая долю рутинной и неинтересной работы, совершенствуя процесс преподавания. Будущим специалистам, которым предстоит работать в век электронной культуры, особенно важно иметь представление о принципах создания мультимедийных

продуктов, программно-техническом обеспечении и перспективах предоставления мультимедийных услуг пользователям информационных учреждений. Сегодня в техническом университете существует модуль для магистрантов специализации «Мультимедийные технологии и Web-дизайн». В нем рассматриваются феномен мультимедиа и возможности применения мультимедийных технологий в различных областях деятельности. На занятиях используются демонстрационные и полные версии некоторых мультимедийных программ (PowerPoint, Tool-Book, HyperMethod и др.), а также демонстрируются учебные фильмы. Наличие программных продуктов и некоторых электронных изданий позволяет обучать студентов основам информационного поиска на новых носителях информации, а также таким перспективным направлениям мультимедиа, как интерактивные технологии, Web-проектирование, Web-мастеринг и др.

Таким образом Мультимедиа позволяют сочетать вербальную и наглядно-чувственную информацию, что способствует мотивации учащихся, созданию актуальной настройки на учение. Разумеется организация аудиторных занятий с применением мультимедиа технологий дает возможность сэкономить время, тем самым интенсифицируя изложение учебного материала, за счет использования очень простых, доступных любому студенту средств. В ходе лекции самими студентами может создаваться до предела визуализированная красочная учебно-игровая среда, что производит буквально революционный эффект в восприятии предмета “Информатика”. А также Мультимедийные компьютерные технологии дают учителю возможность оперативно сочетать разнообразные средства, способствующие более глубокому и осознанному усвоению изучаемого материала, сэкономить время лекции, насытить его информацией. Внедрение в преподавании современного курса информатики мультимедиа технологий выявило ряд положительных сторон и несколько трудных моментов. Так организация занятий с использованием мультимедиа-технологий с применением специального проектора дает возможность наглядно демонстрировать возможности изучаемого программного обеспечения и экономить время, тем самым интенсифицируя изложение учебного материала. В тоже время появляются дополнительные требования к подготовке мультимедийных материалов и организации урока. Включение информационных мультимедийных технологий делает процесс обучения технологичнее и результативнее. Да, на этом пути есть трудности, есть ошибки, не избежать их и в будущем. Но есть главный успех - это интерес учеников, их готовность к творчеству, потребность в получении новых знаний и ощущение самостоятельности. Компьютер позволяет делать лекции, не похожими друг на друга. Это чувство постоянной новизны способствует интересу к ученью.

Опыт использования мультимедийных технологий показывает:

- резко повышается интерес учащихся к работе и их активность;
- развивается алгоритмический стиль мышления, формируется умение принимать оптимальные решения, действовать вариативно;
- учитель освобождается от массы рутинной работы, предоставляется возможность творческой деятельности на основании полученных результатов.